# მოდული 01

## ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კონცეპტუალური საფუძვლები

**ადაპტირებულია საქართველოსთვის**

## 01

როგორ განმარტავთ ტერმინს „ტერორიზმი“?

## 02

როგორ განმარტავთ ტერმინს „ძალადობრივი ექსტრემიზმი“?

## 03

თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს სხვადასხვა განმარტება ამ კუთხით არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე თქვენს ადგილობრივ გარემოში?

# ტერორიზმი



# ძალადობრივი ექსტრემიზმი



# რადიკალიზაცია



# რას ნიშნავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება და რა კავშირშია იგი კონტრტერორიზმთან?

**ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება** - პროგრამები და პოლიტიკები, რომელთა მიზანია ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების გადარწმუნება იმისათვის, რომ არ ჩაერთონ რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმში და არ მიმართონ იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობას სოციალური, ეკონომიკური, რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

# რას ნიშნავს კონტრტერორიზმი?

**კონტრტერორიზმი** - იძულებითი და არაიძულებითი ხასიათის პროგრამებისა და პოლიტიკების ერთობლიობა, მიმართული ძალადობრივი ექსტრემისტული საქმიანობის პრევენციისა და უარყოფისკენ და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების და ინდივიდების აღკვეთის, დაპატიმრების, სამართლებრივი დევნის და/ან მკვლელობისკენ.

ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ ჩვენ შევძლებთ ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხის შეჩერებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმდინარე სტრატეგიის განხორციელებიდან **ხუთი წლის შემდეგ?**



# თქვენი აზრით, რაში **გამოიხატება** ქალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ გამოთქმული კრიტიკა?



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობები გააკრიტიკეს შემდეგ მიზეზთა გამო:

- სამიზნე საზოგადოებების მარგინალიზაცია,
- საზოგადოების, როგორც იარაღის და არა როგორც პარტნიორის სახით გამოყენება,
- სხვა მნიშვნელოვანი მცდელობების უსაფრთხოების ჭრილში განხილვა, ღონისძიებების წარმატების ან ეფექტიანობის განსაზღვრის შეუძლებლობა, ან
- უბრალოდ „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების“ ეგიდით სხვა სფეროს ან ტიპის პროგრამების შენიღბვა.

# „ზიანის მიუყენებლობის“ (DO NO HARM) მიდგომა

იმ ფაქტის გააზრების პრაქტიკა, თუ როგორ აისახება ძალადობრივი ექსტრემიზმის ძალისხმევებთან დაპირისპირება ადგილობრივ დინამიკასა და ურთიერთობებზე იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა შეძლონ აღნიშნული ძალისხმევების უარყოფითი, უნებლიე შედეგების შერბილება ან თავიდან აცილება, ასევე ამ დინამიკასა და ურთიერთობებზე დადებითი გავლენის მოხდენაზე ყურადღების გამახვილება.

# **ვიდეორგოლი1** | ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება ლოს-ანჯელესში




**მომზადებულია:**
ლოს-ანჯელესის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/YPM3M5qee7M
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1x0HXpZ5AeHshF9XN8miWrHzAkYuMYvWR/view?usp=sharing

მიუთითეთ ლოს-ანჯელესის გამოცდილების **მსგავსება** და **განსხვავება** თქვენი ადგილობრივი გარემოსგან.



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლის (CVE) ინფოგრაფიკა




**დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ გაეცნოთ:** "THE CVE CYCLE: AN INDIVIDUAL TRAJECTORY"

# შეჯამება

ძალადობრივი ექსტრემიზმი არის კომპლექსური პრობლემა, მაგრამ არა ისეთი „ფენომენი“, რომლის გაგება ან მოგვარება შეუძლებელია.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება მოითხოვს ფართო მიდგომას უამრავი ინსტრუმენტის გამოყენებით.

ძალადობრივი ექსტრემიზმის ხასიათი დამოკიდებულია სპეციფიკურ გარემოზე და არ შეიძლება უკავშირდებოდეს რომელიმე რელიგიას, ეროვნებას ან ეთნიკურ ჯგუფს.



# შეჯამება

ის, თუ როგორ განვსაზღვრავთ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და სხვა ტერმინებს, ძალზედ მნიშვნელოვანია.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება მოითხოვს ფართო მასების მონაწილეობას.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შეუსრულებლობის შედეგები შეიძლება ძალიან სერიოზული იყოს.

